603 № 10278

ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲚᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲨᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1989 Წ.
№ 169 (19 088) ● ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲒᲐᲛᲝᲦᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 Ა�პᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲩᲔᲛᲘᲗᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲢᲔᲑᲐ, ᲒᲕᲘᲛᲠᲐᲕᲚᲝᲡ!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ!

ᲡᲐᲮ. ᲡᲐᲯ. ᲠᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲒᲐᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ სახელგანთქმულ სპორტსმენებს ღირსეული ცვლა ეზრდებათ. ეს დაადასტურეს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა ახალგაზრდობის IV საკავშირო სპორტულ ასპარეზობაზე. მათ მოიპოვეს 51 ჯილდო, აქედან 19 ოქროსი, 18 ვერცხლისა და 24 ბრინჯაოს მედალი. საბოლოო ანგარიშით საქართველოს დელეგაციამ საპატიო მეექვსე ადგილი დაიკავა და მნიშვნელოვანი განაცხადი გააკეთა წარმატებულ მაჩვენებლებზე სსრ კავშირის ხალხთა X სპარტაკიადის ცხრილში, რომლის ჩათვლაში შედის დამთავრებულ ახალგაზრდულ სპორტულ ფორუმზე გამოსვლის შედეგებიც. ეს ითვლა 30 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ახალგაზრდობის საკავშირო ასპარეზობის მაჯარჯვებულებთან და პრიზიორებთან, მათ მწვრთნელებთან გამართულ შეხვედრაზე. შეხვედრაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ქართული სპორტის ვეტერანები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

შეხვედრის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დღეს საქართველოს მცხოვრებნი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებენ თვალს ყველა იმ მოვლენას, რომლებიც როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, მჭიდროდ უკავშირდება ქართველი ხალხის ინტერესებს. ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის შედეგად წინა პლანზე დადგა ხალხების თვითშეგნების, ეროვნული თვითშემეცნების, ცხოვრების ყველა სფეროში თვითგამოხატვისადმი მიმწყრაფების ზრდა. ამას ხელს უწყობს არა მარტო სამშობლოს სიყვარული, მაღალი სულიერი განწყობა და კულტურა, დაუცხრომელი ბრძოლა და აღმშენებლობა, მუხლჩაუხრელი შრომა, არამედ ფიზიკური ჯანმრთელობაც, წრთობაც. როგორც წარმატებათა ერთ-ერთი საწინდარი. ამიტომ ახალგაზრდა სპორტსმენთა გამარჯვებები ბევრად ზრდიან საერთო განწყობას რესპუბლიკაში, განამტკიცებენ ადამიანების რწმენას საკუთარი თავის, მათი მომავლისადმი.

საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლები ყოველთვის თვლიდნენ თავს მის შვილებად და არაერთხელ დაუმტკიცებიათ ეს მისი საკეთილდღეო საქმეებით. აი, ამჯერადაც ახალგაზ-

ᲘᲮ. ᲒᲕ.2 ᲒᲕ.

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ, კახიანი მსოფლიო ჩემპიონია! ეს უკვე მერამდენე ჩემპიონი გვყავს მოჭადრაკე ქალთა შორის — ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ქეთევან არახამია, თეა ლანჩავა, დიანა დარჩია და აი — ქეთევან კახიანი! იქნებ ვინმემ იფიქროს, გაფრინდაშვილსა და ჩიბურდანიძეს როგორ გაუტოლეს ეს ახალგაზრდებიო. ცხადია, ნონას და მაიას გვირგვინი გაცილებით „მძიმეა“, მაგრამ არახამიაც, ლანჩავაც, დარჩიაც და კახიანიც ხომ ღირსეული წარმომადგენლები არიან ქართველ ქალთა საჭადრაკო სკოლისა და, ღმერთმა დაიფაროს, უკან კი არ მიდიან, ჩრდილს კი არ ამოეფარნენ, ბრძოლის წინა ხაზზე დგანან, ერთი მეორეზე „აჩოქებენ“ მეტოქეებს. მათი წარმატება კი იმის რწმენას გვმატებს, რომ ეს ქალიშვილები მთავარი გვირგვინისთვისაც იბრძოლებენ, სადედოფლო ტახტის მაძიებელთა ღირსეული წარმომადგენლებიც იქნებიან.

განსაკუთრებით გვახარებს საერთაშორისო ოსტატ ქეთევან კახიანის საამაყო გამარჯვება, რომელიც მან კოლუმბიის ქალაქ ტუნხაში, 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე მოიპოვა. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით დაწვრილებით, რა როგორ მოხდა (ამაზე მოგვიანებით გიამბობთ), მაგრამ ის ფაქტი, რომ ქართველი მოჭადრაკე პირველი ტურიდანვე ლიდერობდა და დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, უკვე ბევრისმთქმელია. საგულისხმოა ისიც, რომ კახიანი მეტად პრესტიჟულ ასაკობრივ ჯგუფში იბრძოდა, საიდანაც ერთი ნაბიჯია დიდ ჭადრაკში. თუმცა, ქეთევანი უკვე კარგა ხანია დადგა ამ გზას — იგი ხომ უკვე მომავალი საზოგადოებრივი ტურნირის მონაწილეა და ე. ი. ტახტის ერთ-ერთი მაძიებელიც...

დღეს ეს ვიკმაროთ. თქვენი სახელით, ძვირფასო მეგობრებო, მივულოცოთ ქეთევან კახიანსა და მის მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს გიორგი მაჭარაშვილს ეს დიდი გამარჯვება და ახალი წარმატებები ვუსურვოთ. ჩვენ კი იმედი დავიტოვოთ, რომ სამშობლოში დაბრუნებისთანავე შეხვდებით და გავესაუბრებით მსოფლიოს ახალ ჩემპიონს და მის მწვრთნელს.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲭᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ.



ᲛᲔᲡᲮᲘ — ᲡᲐᲑᲐᲭᲘᲜᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. როგორც ვიუწყებოდით, აშშ-ს ღია ჩემპიონატის სტარტზე თბილისელმა ჩოგბურთელმა ლეილა მესხმა ორ პარტიაში დაამარცხა ფრანგი კარინ კონტრე. მეორე წრეში მას უფრო ძლიერი მეტოქე ჰყავდა, ამერიკელი ბეტსი ნაგელსონი. მესხმა ეს შეხვედრაც ძლიერად ჩაატარა და გაიმარჯვა 6:3, 6:1.

ახლა, მესამე წრეში, ქართველი სპორტსმენის მეტოქე იქნება მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი, არგენტინელი გაბრიელა საბატინი, რომელმაც მეორე წრეში იტალიელ კატი კავერძასის აჯობა — 6:3, 6:2.

მესამე ტურში თამაშის უფლება მოიპოვეს, აგრეთვე, ლვოველმა ლარისა სავჩენკომ და მოსკოველმა ანდრეი ჩესნოკოვმა. სავჩენკომ დაამარცხა ჰოლანდიელი ნიკოლ ჯეგერმანი 1:6, 7:5, 6:1, ჩესნოკოვმა კი ამერიკელი მარტინ დევისი — 1:6, 6:3, 6:3, 6:2.

მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს ფავორიტებმაც: ივან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) აჯობა ავსტრალიელ ჯონ ფიტცჯერალდს 6:2, 6:1, 6:1, მაიკლ ჩანგმა (აშშ) — თომას ჰოგსტედს (შვეცია) — 6:1, 6:3, 6:3, ანდრე აგასი (აშშ) — ნილ ბროდს (სამხრეთ აფრიკის კავშირი) — 6:3, 6:2, 6:3.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲮᲣᲗᲭᲘᲓᲨᲘ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ. აქ მიმდინარე თანამედროვე ხუთჭიდელთა მსოფლიო პირველობაზე სამი სახეობის შემდეგ (ფარიკაობა, ცურვა, ტყვიის სროლა) ლიდერობს უნგრელი ლ. ფაბიანი — 3470 ქულა, მეორე ადგილზე მიდის ვ. ილიევი (ბულგარეთი) — 3413, მესამეზე — თბილისელი ვ. იაგორაშვილი — 3405. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ნაკრები დაწინაურდა — 10043, შემდეგ მოდიან უნგრელები — 9976 და ფრანგები — 9558.

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲔᲑᲘ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

„ᲤᲐᲖᲘᲡᲘ“ ᲝᲙᲔᲐᲜᲔᲔᲑᲡ ᲣᲔᲠᲗᲓᲔᲑᲐ



ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ, ᲰᲐᲛᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ „ᲣᲘᲗᲑᲠᲘᲓᲔᲓ“ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲠᲑᲝᲚᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲔᲙᲘᲞᲐᲟᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ.

— გარდაქმნა რომ არა, ჩვენს ოცნებას ასრულება არ ეწერა, — განაცხადა ამ პრესკონფერენციაზე საკავშირო სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა აფროსნობაში თემურ პინეგინმა.

მართლაც: გადაუჭარბებლად შეიძლება ეწოდოს სენსაციური ჩვენს აფროსნობაში მომხდარ ბოლოდროინდელ ცვლილებებს. საბჭოთა ეკიპაჟებმა იასპარეზეს ავსტრალიისა და ევროპის ზღვის ქვეყნების აკვატორიებში, „ამერიკის თასის“ გათამაშებაში (სხვათა შორის, „ამერიკის თასის“ ერთ-ერთ რბოლაში მონაწილეობდა ცნობილი ქართველი აფროსანი გურამ ბიგანიშვილი), ქალაქ ნიკოლაევის ნავის „იკარის“ ეკიპაჟმა იმოგზაურა დედამიწის გარშემო. ყველაზე სენსაციური კი გახლავთ პოპულარობით ოლიმპიურ რეგატებს გატოლებულ „უითბრედში“ გამოსვლა. დიახ, ეს რბოლა, რომელსაც ოთხ წელიწადში ერთხელ აწყობენ დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საზღვაო საიალქნო ასოციაცია და ლუდის მწარმოებელი, ცნობილი ფირმა „უითბრედი“, ბევრ ქვეყანაში ერთიანული პრესტიჟის საქმედ ითვლება.

„უითბრედის“ წლევანდელ, მეხუთე რბოლაში საბჭოთა აფროსნების დებიუტი ბევრით უკავშირდება ჩვენს რესპუბლიკას. საერთო პროექტს, რომელსაც თავდაპირველად „ოქროს ვერძი“ ეწოდა, ხორცი შეასხა ფოთის ტერიტორიულდარგთაშორისი გაერთიანებისა და დასავლეთგერმანული ფირმის „შეამხანაგებამ“. ნავიც აქ, ფოთის გემთსაშენებელ ქარხანაში აიგო. ბუნებრივია, მკითხველს აინტერესებს, ვინ იასპარეზებს საქართველოდან დედამიწის გარშემო რბოლაში, რომელსაც დღეს მიეცემა სტარტი.

დღეისათვის ეკიპაჟის სასტარტო შემადგენლობაში არიან ჯუმბერ ცომაია და ნოდარ თენეიშვილი. ჯუმბერი სპორტის ოსტატია, 18 წელია მისდევს აფროსნობას, მონაწილეობდა საკავშირო შეჯიბრებებში. ამჟამად ფოთის საიალქნო კლუბის დირექტორი და საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელია. ნოდარ თენეიშვილი პროფესიით მეზღვაურია — სამი წლის განმავლობაში მუშაობდა მსოფლიოში ყველაზე დიდი იალქნიანი გემის „სედოვის“ კაპიტნის თანაშემწედ. ამჟამად მსახურობს საქართველოს საზღვაო სანაოსნოში.

ქართველ მეზღვაურთა სია ამით არ ამოიწურება: წინასწარი გეგმის მიხედვით, ავსტრალიაში, რბოლის მესამე ეტაპზე, ცომაიასა და თენეიშვილს შეუერთდებიან გურამ ბიგანიშვილი, თამაზ ზოიძე და ვალიკო ქიტუაშვილი.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲔᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲤᲝᲤᲝᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲮᲐᲖᲘᲗᲛᲝ ᲪᲘᲠᲔᲛᲝᲜᲘᲐᲚᲘ „ᲤᲐᲖᲘᲡᲘᲡ“ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲩᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ. ᲜᲐᲮᲕᲐ „ᲜᲐᲗᲚᲘᲓᲘᲓᲐᲪ“ ᲮᲐᲖᲘᲗ ᲨᲔᲣᲠᲩᲘᲔᲡ — ᲓᲔᲛᲘᲠᲗᲛᲐ ᲥᲜᲐᲡ „ᲤᲐᲖᲘᲡᲘᲡ“ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲝᲡ ᲜᲘᲜᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲭᲔᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ.

Ი. ᲭᲝᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲔ
(საქინფორმი) ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ.

ფიზკულტურა და სპორტი ერის ჯანმრთელობაა

(დასასრული)

რდულ ასპარეზობაზე მოპოვებულ საერთო წარმატებაში ქართველებთან ერთად თავიანთი წვლილი შეიტანეს აფხაზებმა, ოსებმა, რუსებმა, ბერძნებმა, სომხებმა, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა, რომლებსაც აერთიანებდა პატრიოტიზმი, თავდადება და ერთსულოვნება.

ყველამ ერთად მოიპოვა 43 მედლით მეტი, ვიდრე წინა ახალგაზრდულ ასპარეზობაზე. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ძიუდოისტებმა, მოჭადრაკე გოგონებმა, სინქრონული ცურვისა და ᲫᲨვილდოსნობის წარმომადგენლებმა, აკრობატებმა, წყალმოთხილამურეებმა, ბატუტზე მხტომელებმა, ჩოგბურთელებმა, წყალმხტომელებმა, თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა და ფეხბურთელებმა. აღსანიშნავია, რომ ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ჩვენმა ახალგაზრდა სპორტსმენებმა მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს საერთაშორისო ასპარეზზეც. საბჭოთა სპორტსმენებს შორის პირველი ევროპის ჩემპიონი სინქრონულ ცურვაში გახდა ხრისტინა ფალასინიდი, მეორედ მოიპოვა ეს ტიტული წყალმხტომელმა გიორგი ჩოგოვაძემ, კონტინენტზე უძლიერესი გახდა წყალმოთხილამურე ხათუნა კორკელიაც, სრულიად ნორჩი მოჭადრაკე დიანა დარჩია კი მსოფლიო ჩემპიონი გახდა თანატოლებს შორის. ყოველივე ეს იმ ტრადიციების შედეგია, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარეს შესანიშნავმა სპორტსმენებმა — ნონა გაფრინდაშვილმა, ნინო დუმბაძემ, მზია ᲫᲣᲠᲔᲚᲛᲐ, გივი კარტოზიამ, რობერტ შავლაყაძემ, ვახტანგ ბალავაძემ, ვიქტორ სანეევმა და მრავალმა სხვამ, ეს სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების დაუცხრომელი შრომის შედეგია.

შეხვედრაზე აღინიშნა საქართველოს სახელოვანი ოლიმპიური ტრადიციებიც, რომლის წარმომადგენლებმა 1952 წლიდან 1988 წლის ჩათვლით მოიპოვეს ოლიმპიადების 84 ჯილდო, აქედან 28 ოქროსი. ეს შეᲨᲣᲠდება მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანას. რესპუბლიკის სპორტსმენთა ახლანდელ თაობებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი მიღწევები საქართველოს ისეთივე სავიზიტო ბარათია, როგორც წარმატებები საქმიანობის ნებისმიერ სხვა სფეროში, რომლებიც მიღწეულია პროფესიონალიზმის, კომპეტენტურობის, ორგანიზებულობის წყალობით.

მაგრამ მედლების მოპოვება თვითმიზანი არ უნდა გახდეს. მთავარია სპორტის ნამდვილად საყოველთაო სახალხო ხასიათი, და მაᲨᲘᲡᲐᲓᲐᲛᲔ, ერის ჯანმრთელობა. ამასთან დაკავშირებით ორატორებმა თქვეს, რომ ჯერ კიდევ მთლიანად არ გამოიყენება ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის შესაძლებლობები, ჯერ კიდევ სუსტია მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის სასწავლებლებში, ნაკლებად ეწყობა საინტერესო სპორტული ასპარეზობები, რომლებსაც შეუძლიათ ჯანსაღი დასვენების სურვილი აღუძრან მოსახლეობის ფართო მასებს, საკმარისი ყურადღება არ ეთმობა სპორტის ეროვნულ სახეობებს. აღინიშნა, რომ სახელგანთქმულ სპორტსმენთა მოვალეობაა ᲨᲘᲛᲝᲑᲔᲚ ხალხს განუვითარონ საერთო ეროვნული, მასობრივი ჯანმრთელობისადმი სწრაფვა, ეძებონ ახალი ფორმები და მეთოდები, დანერგონ ისინი ცხოვრებაში.

სწორედ ამ და სხვა პრობლემებზე, საქართველოში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საკითხებზე, რომელიც ხელს შეუწყობს ამ პრობლემების გადაᲬᲧᲕᲔᲢᲐᲡ, ილაპარაკეს შეხვედრაზე რესპუბლიკის სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვახტანგ მახარაძემ, საერთაშორისო დიდოსტატმა ქეთევან არახამიამ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ, წარსულში ცნობილმა სპორტსმენებმა ვახტანგ ბალავაძემ და რუსუდან სიხარულიძემ, საქართველოს სახტელევიზიოს თავმჯდომარემ არჩილ გოგელიამ, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გიორგი ᲬᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐᲛ, საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორმა ომარ გოგიაშვილმა. სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვიქტორ სანეევმა კი გზა დაულოცა თავის უმცროს ამხანაგებს სპორტში, როგორც მომავალ ოლიმპიელებს, 1992 წლის ოლიმპიური ასპარეზობის პოტენციურ მონაწილეებს.

(საქინფორმი).

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲔᲥᲝ • ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲘᲣᲜᲘᲝᲠ ᲥᲐᲚᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ტრადიციის აღორძინება საჩხერიდან იწყება

ᲩᲕᲔᲜᲘ ძალოსნობის იმედს, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანს კახი კახიაშვილს, რომელმაც ივნისში ამერიკის შეერთებულ შტატებში დამაჯერებლად გაიმარჯვა თანატოლთა მსოფლიო პირველობაში, იუგოსლავიაში, ევროპის პირველობაზე იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, გრიგოლ ჩუბინიძე კი ამ შეჯიბრების დებიუტანტი იყო.

რამაზ გურგენიძე — საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი ძალოსნობაში:

— ძალოსანი თავისი სპორტული ფორმის პიკს, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ აღწევს. კახიმ პირველ ასეთ პიკს მსოფლიო ჩემპიონატისთვის მიაღწია. წლის მეორე მნიშვნელოვანი შეჯიბრება ევროპის პირველობა იყო, მან და მისმა მწვრთნელმა სავარჯიშო პროგრამა ამ ასპარეზობას მიუსადაგეს, ამას გარდა კახის მეოთხე ახალგაზრდულ თამაშებზეც საქართველოს სპორტული ინტერესები უნდა დაეცვა, რომელიც თითქმის ერთ კვირაში იწყებოდა, გამოსავალი ერთი იყო: კახის იუგოსლავიაში ისე უნდა გაემარჯვა, რომ ახალგაზრდული თამაშებისთვისაც შემოენახა ძალები.

სანამ რამაზ გურგენიძეს კვლავ მივცემთ სიტყვას, ალბათ ᲬᲔᲓᲛᲔᲢᲘ არ იქნება კახის მიღწევები გავიხსენოთ. შარშან საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ივანე გრიქუროვის შეგირდმა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში 177,5 აიტაცა და 225 კილოგრამი აჰკრა. ეს უკანასკნელი ახალგაზრდებს შორის მსოფლიო რეკორდი იყო, მაგრამ ვიდრე ქართველი სპორტსმენის მიღწევა გაფორმდებოდა, ძალაში შევიდა ახალი დებულება, რომლის თანახმადაც რეკორდად ჩაითვლება მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგი. კახიმ ამერიკის შეერთებულ შტატებში აკვრაში კვლავ გაიმეორა თავისი მიღწევა, ამჯერად — ოფიციალურად, ხოლო ატაცაში, ხუთი კილოგრამით ნაკლები აჩვენა.

რამაზ გურგენიძე: — იუგოსლავიაში კახის მთავარი კონკურენტები ბულგარეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ათლეტები იყვნენ. პირველ ცდაზე კახიმ 155 კილოგრამი ისე აიტაცა, რომ არ ჩამჯდარა. მეორე და მესამე ცდაზე კახიმ 157,5 და 160 კილოგრამი დაძლია. მას ორმა ათლეტმა გაუსწრო — კახიმ საკმაო ფორა მისცა მოწინააღმდეგეებს. რატომ მოიქცა ასე? აკვრაში კახიაშვილის ძირითადმა მეტოქეებმა საწყისი წონა — 190 კილოგრამი დაძლიეს, მაგრამ მომდევნო ცდები უშედეგოდ დაამთავრეს. კახიმ კი 200 კილოგრამი აჰკრა, გაიმარჯვა და მესამე ცდაზე, 210 კილოგრამის დასაძლევად, ფიცარნაგზე უკვე ევროპის ჩემპიონის წოდებით გამოვიდა. მან ეს წონაც ლამაზად დააფიქსირა. ასე რომ, ატაცში კახის თვითდაჯერებულობას გარკვეული საფუძველი ᲰᲥᲝᲜᲓᲐ.

გრიგოლ ჩუბინიძე (მარცხნივ) და კახი კახიაშვილი

იმის შესახებ, რომ ახალგაზრდულ თამაშებში კახიმ ვერცხლის მედალი მოიპოვა (დონეცკში მან ექვსივე ცდა წარმატებით გამოიყენა), „ᲚᲔᲚᲝᲡ“ მკითხველებმა იციან...

ამჯერად გრიგოლ ჩუბინიძის წარმატებებს გაგაცნობთ (მწვრთნელები გოგი თოდაძე და ამირან ᲭᲘᲢᲐᲫᲔ. 19 წლის საჩხერელი გოლიათი შარშან თავის წონაში შედეგებით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა, თუმცა ᲰᲐᲮᲣᲪᲗᲐ საკავშირო თამაშებზე მესამე იყო, იუნიორთა საკავშირო პირველობაში კი მეორე ადგილი დაიკავა.

როცა იგი ქვეყნის ნაკრებში ჩაირიცხა, პირველივე ვარჯიშის შედეგით გაწბილებულმა უფროსმა მწვრთნელმა ოლეგ პისარევსკიმ იგი მხოლოდ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ივანე გრიქუროვის თხოვნითა და შუამდგომლობით დატოვა გუნდში. იმავე პირველ შეკრებაზე გრიგოლმა თითქმის 20 კილოგრამით გაზარდა პირადი მიღწევები და მწვრთნელთა ეᲭᲕᲔᲑი და უნდობლობაც გაქრა. აძის შემდეგ საჩხერელმა სპორტსმენმა ზუგდიდში, საქართველოს იუნიორთა პირველობაზე ატაცში ნახევარი კილოგრამით გაᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲐ კობა ტალახაძის რესპუბლიკური რეკორდი დიდებს შორის. ევროპის პირველობის წინ. საკავშირო ნაკრებში მისი პოზიცია უკვე საკმაოდ მყარი იყო. დასკვნით შეკრებაზე პოდოლსკში ვარჯიშზე ატაცსა და აკვრაში ქართველმა ძალოსანმა 175 და 210 კილოგრამი უჩვენა.

რამაზ გურგენიძე: — ჩვენ ყველანი ვფიქრობდით, რომ გრიგოლი იუგოსლავიიდან ოქროს მედალს ჩამოიტანდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. როგორც იცით, ჩვენი სპორტსმენი იქ მესამე იყო, თუმცა დებიუტანტის კვალობაზე ეს საკმაოდ დიდი წარმატებაა. რატომ ვერ მიაღწია უფრო მაღალ შედეგს გრიგოლმა? ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა გაგვიჭირდება, რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ პისარევსკიმ გუნდის ინტერესებისთვის, ჩვენი აზრით, ზედმეტი სიფრთხილე გამოიჩინა, როდესაც საწყისი წონა გრიგოლს 155 კგ-ით დაᲬᲧᲔᲑინა. შემდეგ დებიუტანტმა 162,5 კგ დაძლია და 167,5 კილოგრამიც ასწია, მაგრამ დიდი მღელვარების გამო ვერ დააფიქსირა.

ატაცში პირველი ადგილი (167,5 კგ) ბულგარელმა ძალოსანმა დაიკავა. ქართველი ათლეტი მესამე იყო გდრ-ის წარმომადგენლის შემდეგ.

აკვრაში პირველი ცდით ჩუბინიძემ 190 კილოგრამი დაამორჩილა და ორჭიდის ჯამში მესამე ადგილი გაინაღდა. მეორე ცდაზე კი 197,5 კილოგრამს ვერ მოერია. ამასობაში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ, თუ გრიგოლი 200 კილოგრამს ასწევდა (ბულგარელმა თავისი გამოსვლა 197,5 კგ-ით დაამთავრა), ორჭიდის ჯამში იგი მეტოქეთათვის მიუᲬᲕდომელი გახდებოდა. მაგრამ ჩვენს ძალოსანს კვლავ ხელი მოეცარა. რატომ გააუარესა მოკლე ხანში თავისი პირადი შედეგები გრიგოლმა? ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, მთავარი მიზეზია სუსტი ფსიქოლოგიური მომზადება — ზედმეტი მღელვარება, რომელიც გამოუცდელობითაც იყო გამოწვეული. კიდევ ერთი: როგორც ჩანს, შედეგებზე გავლენა მოახდინა ფორსირებულმა მზადებამაც — სპორტსმენი ზედმეტად გადაიტვირთა და მუხლის ტრავმამაც გაუხსენა. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲛᲐ ამან ერთად, უფრო მოგვიანებით კვალი დაატყო მის გამოსვლას საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზეც — გრიგოლი იქ X ადგილს დასჯერდა.

მთავარი მწვრთნელის ნაამბობს მხოლოდ ის უნდა დავუმატოთ, რომ გრიგოლ ჩუბინიძე ჯერ მხოლოდ 19 წლისაა. მას მომავალი წინა აქვს, მთავარი ისაა, რომ ქართულ ძალოსნობაში გამოჩნდა მეორე სპორტსმენი, რომელიც კახი კახიაშვილს მხარში ამოუდგება და ერთად გასწევენ ᲰᲐᲞᲐᲜᲡ ჩვენში სპორტის ამ სახეობის ტრადიციის ასაღორძინებლად.

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲔ.

ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ

თანაკურსელები მოითხოვენ

ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ისე როგორც ალბათ არავისთვის, გასაგებია გაზეთ „ᲚᲔᲚᲝᲨᲘ“ 1989 წლის 24 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი წერილი გიორგი რთველიაშვილის ბედის შესახებ. სამწუხაროდ, ვერც თბილისში და ვერც სხვაგან ვერ მოხერხდა გიორგი რთველიაშვილის განკურნება.

დღეს, როდესაც საგრძნობლად გაიზარდა ჩვენი რესპუბლიკის უშუალო კონტაქტები საზღვარგარეთის იმ ქვეყნებთან, რომლებსაც მძიმე ტრავმების მკურნალობისათვის უფრო სრულყოფილი აპარატურა გააჩნიათ, უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობაც. ამას, რა თქმა უნდა, უფრო იმათ გასაგებად ვამბობთ, ვისაც საამისო უფლებები გააჩნია და, იმათ გასაგონადაც, ვინც ქვეყნის გარეთ ცხოვრობს. საზღვარგარეთ ასპარეზობისას ვხედავთ, არაერთი მხურვალე გულშემატკივარი გვყავს ყველგან, ისინი მუდამ გვამხნევებენ, მხარს გვიჭერენ და ჩვენი წარმატებებით ხარობენ.

იქნებ იმათაც გაიგონ ჩვენი თხოვნა, ჩვენი წუხილი და მხარში ამოუდგნენ ჩვენს თანაკურსელს და მეგობარს, რომელსაც ახლა ყველაზე მეტად სჭირდება დახმარება.

ᲜᲘᲜᲝ ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔ — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ტუვიის სროლაში

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲝᲒᲝᲕᲐᲫᲔ — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ევროპის ჩემპიონი კოშკურიდან ხტომაში

ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ ᲐᲜᲘᲡᲘᲛᲝᲕᲐ — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი სპორტულ აკრობატიკაში

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲮᲝᲤᲔᲠᲘᲐ — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ბატუტზე ხტომაში

ᲐᲠᲛᲔᲜ ᲑᲣᲠᲓᲘᲐᲜᲪᲘ — სპორტის ოსტატი, მსოფლიოს ჩემპიონი კრივში ᲰᲐᲑᲣᲙᲔᲑᲨᲘ

ᲔᲚᲘᲖᲝ ᲑᲔᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ — სპორტის ოსტატი, სხრკ-ის მრავალგზის ჩემპიონი მხატვრულ ტანვარჯიშში

ᲜᲘᲜᲝ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ევროპის ჩემპიონი სინქრონულ ცურვაში

ᲮᲠᲘᲡᲢᲘᲜᲐ ᲤᲐᲚᲐᲡᲘᲜᲘᲫᲔ — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სხრკ-ისა და ევროპის ჩემპიონი სინქრონულ ცურვაში

ᲘᲠᲛᲐ ᲣᲤᲨᲘᲫᲔ — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სხრკ-ის ჩემპიონი მხატვრულ ტანვარჯიშში

ᲑᲣᲠᲐᲛ ᲛᲝᲓᲔᲑᲐᲫᲔ — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სხრკ-ის ჩემპიონი ᲰᲘᲓᲐᲝᲑᲐ ძიუდოში ახალგაზრდებს შორის

ᲒᲔᲚᲐ ᲣᲒᲘᲚᲐᲕᲐ — სპორტის ოსტატი, ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ᲰᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲰᲐᲑᲣᲙᲔᲑᲨᲘ

ᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲠᲩᲘᲐ — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სხრკ-ის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი კლასიკურ ᲰᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სხრკ-ის ჩემპიონი ᲰᲘᲓᲐᲝᲑᲐ ძიუდოში ახალგაზრდებს შორის

ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲜᲔᲗ...

ᲛᲡᲯᲐᲕᲠᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲗᲐ სპორტული სექციის ინიციატივით შეიკრიბა 1085 მანეთი, რომელიც გაეგზავნა გ. რთველიაშვილს. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს მსჯავრდადებულებმა ჯანიკო გოლეთიანმა, გელა გელაშვილმა, სოსო კირეᲭᲐᲚᲘᲐᲛ, თეიმურაზ მალაზონიამ, არონ არუთინოვმა, ნუგზარ დათუაშვილმა, იოსებ ელიშაკოვმა, ზურაბ სოხაძემ, იუსუბ ფილხაზოვმა, დათო ჩალაძემ, ვაჩაგან აივაზოვმა, რომან ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ, ზურაბ ზუმბაძემ და სხვ.

Ნ. ᲥᲣᲛᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამასწორებელ საქმეთა სამმართველოს დაწესებულების უფროსი.

Ზ. ᲔᲑᲠᲐᲚᲘᲫᲔ,
ამავე დაწესებულების პოლიტანწილის უფროსი.

გაზეთ „ᲚᲔᲚᲝᲡ“ რედაქციას!

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ, ამ წერილს პატიმარი გწერთ, ავჭალის შრომა-გასწორების კოლონიიდან.

24 აგვისტოს „ᲚᲔᲚᲝᲨᲘ“ წავიკითხე გ. რთველიაშვილის წერილი, გული შეტკივა და ტირილი შემერია. გიორგი რთველიაშვილი ჩემი შვილების ტოლია და, ჩემი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, რაღაც უნდა მეღონა.

დაუყოვნებლივ მივწერე წერილი გიორგის, სადაც ვწერ, რომ გამოიჩინოს მხნეობა, მეც მძიმე ტრავმა მაქვს მიღებული სამხედროში პარაშუტით დაშვებისას, რაც საბედისწერო აღმოჩნდა, მაგრამ გამოსავალიც გამოჩნდა კეთილი ადამიანების დახმარებით...

25 აგვისტოს მივმართე კოლონიის ხელმძღვანელებს თხოვნით, რათა ნება დაერთო ჩვენი ნამუშევარი პირადი ანგარიშიდან, ვინც ისურვებდა, მატერიალურად დავხმარებოდით საწოლზე მიჯაჭვულ ახალგაზრდა კაცს. უფროსმა ნება დამრთო. დაუყოვნებლივ მივმართე მსჯავრდადებულთა მთელ კონტინგენტს ადგილობრივი რადიოს საშუალებით.

ღმერთმა ნუ გადააგვაროს ქართველი ისე, რომ მოყვასი არ იცოდეს. იმავე დღეს საღამოს მოზრდილი თანხის გადასაცემად, ბიჭების განცხადებები ხელთ მქონდა.

ძვირფასო რედაქცია, ბოდიშს გიხდით, იქნებ არც იყო საჭირო ამის მოწერა, მაგრამ იმასაც ვფიქრობ, რომ ყველას მოვალეობაა შეუმსუბუქოს ტკივილი ᲯᲝᲠᲯᲘ რთველიაშვილს და შეუმსუბუქოს რითაც შეუძლია.

ᲯᲐᲜᲘᲙᲝ ᲒᲝᲚᲔᲗᲘᲐᲜᲘ.
ᲐᲕᲭᲐᲚᲐ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

გაიმართა სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 23-ე ტურის შეხვედრები.

„დინამო“ (თბილისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 0:0

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 80 აგვისტო.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჰედია, ჩიქოვანი, რევიშვილი, სვანაძე (კერძევაძე, 68), ცვეიბა, ქეცბაია, თედეევი (ნემსაძე, 78), გოგიჩაიშვილი.

„ჩერნომორეცი“: გრიშკო, კუზნეცოვი, შეპელნიცკი, იშჩაკი, ტრეტიაკი, პროციუკი, ციმბალარი, შჩერბაკოვი, ომრეკოვი (სპიცინი, 58), კონდრატიევი, პერეპადენკო (ნიკიფოროვი, 71).

მსაჯი ა. კირილოვი (მოსკოვი).

საკავშირო ჩემპიონატში სულ ახლახან საკმაოდ ხანგრძლივი შესვენება მოეწყო, თბილისის დინამოელებს 3 აგვისტოს შემდეგ კალენდარული მატჩი არ ჰქონიათ, ამ დღეს კი მათ მოსკოვში მარცხი იწვნიეს თავიანთი ადგილობრივი თანაკლუბელებისგან — 0:1. სამკვირიანი შესვენება უმაღლესი ლიგის გუნდისთვის საკმაო დროა შინაური საქმეების მოსაგვარებლად, თუ ვინ როგორ გამოიყენა ეს ანტრაქტი, ძნელი სათქმელია, ეს კი ცხადია, რომ თბილისის „დინამოს“ ამ პერიოდში სასიკეთო ბევრი არაფერი დამჩნევია, გუნდმა კვლავ დაბალ დონეზე, უხარისხოდ, მოუნდომებლად და ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე ჩაატარა საკავშირო ჩემპიონატის ზედიზედ ორი ტურის მეტად მნიშვნელოვანი მატჩები.

ვინ იყვნენ ჩვენი მეტოქეები 22-ე და 23-ე ტურების შეხვედრებში? დუშანბეს „პამირი“ და ოდესის „ჩერნომორეცი“, ე. ი. სწორედ ის გუნდები, რომლებთანაც საკუთარ მინდორზე დინამოელებმა აუცილებლად მოგებები უნდა ივარაუდონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ქულათა იმ გამსვლელ მარაგს, რომელიც ჩვენს გუნდს სჭირდება, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევაგროვებთ.

ამ ბოლო ორი ტურის მატჩებში თბილისის დინამოელებმა ვერც თავიანთი გეგმები განახორციელეს, ვერც გულშემატკივართა იმედები გაამართლეს, ორი ქულა ორ შეხვედრაში თანამოელეებთან და დუშანბელებთან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დამაკმაყოფილებელ შედეგად ჩაითვალოს. შესაძლოა, ამ ორმა ქულამ საბოლოოდ გვიშველოს და უმაღლეს ლიგაშიც შეგვანარჩუნებინოს თავი, მაგრამ ეს მხოლოდ განწირული გუნდისთვისაა სანუგეშო და იმედის მომცემი, ჩვენ კი არ გვინდა განწირულნი ვიყოთ, თბილისის „დინამო“ კვლავ ცუდად თამაშობს, იგი ჯერ კიდევ არ დგას პროგრესის გზაზე. არადა დრო გადის, უკვე მიზეზებიც უფერულდება და ძალას კარგავს.

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე შემუშავებული და საქვეყნოდ გამოჩენილი თვისებებიდან „დინამოს“ თითქმის არაფერი დარჩა. უყურებ ოდესლაც განთქმულ გუნდს და ფიქრობ, ნუთუ ეს ის „დინამოა“, რომლის შემადგენლობაშიც გამოდიოდნენ ჭეშმარიტი ვირტუოზები და შეუდარებელი ოსტატები, ნუთუ ეს ის გუნდია, რომელიც ნახევარი საუკუნე ასე ამშვენებდა საბჭოთა ფეხბურთს! არც ტემპი, არც სისწრაფე, არც აზარტი და ის მეთოთხმეტე ადგილიც, რომელზეც ახლა თბილისის „დინამო“ იმყოფება, სწორედ რომ ზუსტად ასახავს მის სიძლიერეს და კლასს. გასაკვირიც ის არის, რომ დინამოელი ფეხბურთელები არ ცდილობენ გაუმჯობესონ თამაში, მეტი მოინდომონ, მეტი შეძლონ, მატჩის განმავლობაში მათ არა აქვთ აღმასვლის პერიოდები, რა დონეზეც იწყებენ თამაშს, იმ დონეზე ამთავრებენ.

არავინ იფიქროს, რომ მშობლიური გუნდის მიმართ გამოთქმული ეს სიტყვები მარტოოდენ სარედაქციო აზრია. არა. ყველაფერი ეს გვიკარნახა გულშემატკივართა და მაყურებელთა წერილებმა, შენიშვნებმა, ტელეფონის განუწყვეტელმა ზარმა.

მართლაც, რაშია საქმე? ნუთუ თბილისის დინამოელებს მეტი არ შეუძლიათ? ჩვენი ღრმა რწმენით გუნდის პოტენციაში იმდენი ძალა მაინც არის, რომ ცხრილის შუაგულში ვიმყოფებოდეთ და უმაღლესი ლიგის ზოგიერთ სხვა გუნდს ვჯობნიდეთ. როცა ასეთ კრიტიკულ ვითარებაში შინ „პამირსა“ და „ჩერნომორეცს“ ვერ მოუგებ, რაღა უნდა ჰქნა მეტოქის მინდორზე? არადა, 9 სექტემბერს მოსკოვში ვხვდებით გათამაშების ლიდერსა და ჩემპიონობის უეჭველ პრეტენდენტს „სპარტაკს“...

მთელმა მატჩმა ოდესის „ჩერნომორეცთან“ მაყურებელთა ნერვებზე გადაიარა. დინამოელებს ჰქონდათ გარკვეული უპირატესობა, მთელ რიგ შემთხვევებში იყო მეტოქის კარის აღების რეალური შესაძლებლობა, მაგრამ რახან ეს არ მოხდა, ახლა ლაპარაკიც ზედმეტია, თბილისელებმა მეტოქის დამარცხება ვერ შეძლეს.

თბილისის „დინამო“ კვლავ და კვლავ უძნელესი ამოცანის წინაშე იმყოფება.

■ ■ ■

დღეს, 11 საათზე, თბილისის „დინამოს“ სტადიონის ხაჭტო დარბაზში ჩატარდება „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის საბჭოს სხდომა.

სხდომაზე მიწვეულნი არიან რესპუბლიკის საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები.

გიხმობთ ფეხბურთის კვირეულის!

4-10 სექტემბერს მთელ კავშირში გაიმართება უკვე ტრადიციად ქცეული ფეხბურთის კვირეული.

პირველად ეს დღესასწაული ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდა, სწორედ საქართველოში აღინიშნა ფეხბურთის დღე, რომელმაც გულგრილი არ დატოვა ამ ლამაზი სახეობის ტრფიალნი.

ახლაც ჩვენი რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქების, ქალაქებისა და რაიონების ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკებმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა 4-10 სექტემბერს გამართული ფეხბურთის კვირეული ნამდვილ ზეიმად იქცეს. მწვანე მინდორზე იასპარეზებენ ყველა ასაკის ადამიანები, ვისთვისაც ახლობელი და საყვარელია ფეხბურთი.

კვლავ გამარჯვება!

საბაზაფხულო არდადეგების დღეებში, კრასნოდარის მხარის სოფელ კანევსკაიაში ჩატარდა საკავშირო ტურნირი მინიფეხბურთში, რომელიც მოაწყო პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭომ. ტურნირში მონაწილეობდა ოზურგეთის რაიონის აგროფირმა „ნატანების“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი „ნარინჯი“, რომელმაც ტურნირი დაუმარცხებლად განვლო და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

„თავთავის“ პრიზის საკავშირო გათამაშებაზე წინა წლებში ტრადიციულად ტარდებოდა, ბოლო ხანს კი იგი რატომღაც მიივიწყეს. პროფკავშირების სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს გადაწყვეტილებით „თავთავის“ პრიზის ეს პრესტიჟული შეჯიბრება კვლავ აღორძინდება, მასში მონაწილეობას მიიღებენ სოფლის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდები.

ახლახან დონეცკის ოლქის ალექსანდროვკის რაიონში ჩატარდა სოფლის ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება. საასპარეზოდ ჩამოვიდნენ მოსკოვისა და გორკის ოლქების, უკრაინის (2), ჩუკოტკის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, მოლდავეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთისა და საქართველოს გუნდები. წილისყრით გუნდები 4 ქვეჯგუფად განაწილდნენ, ჩვენს ჭაბუკებთან ერთად ქვეჯგუფში ასპარეზობდნენ თურქმენეთისა და მოსკოვის ოლქის წარმომადგენლები, რომლებიც ნატანების „ნარინჯის“ გუნდმა დაამარცხა შესაბამისად 10:0 და 5:0.

ფინალურ ოთხეულში მოხვდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, ტაჯიკეთისა და სომხეთის გუნდები, გათამაშების დასკვნით ნაწილშიც ჩვენმა ჭაბუკებმა იმარჯვეს, დაამარცხეს მეტოქეები და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი. შეჯიბრების ორივე ეტაპის ჯამში „ნარინჯმა“ ბურთების საუკეთესო სხვაობით 28-5 დაამთავრა გათამაშება.

გამარჯვებულებს წვრთნიდნენ ავთანდილ თავდუმაძე და თამაზ ცენტერაძე, გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ბ. ჭყონია, თ. დუმბაძე, გ. ნიკოლაიშვილი, კ. ტუღუში, ზ. ზოიძე, ჰ. კალანდაძე, ი. ქუტიძე, კ. მგელაძე, ვ. ბოლქვაძე, ა. ბოლქვაძე, ჰ. ლაღიძე, ზ. სალუქვაძე, ა. კუნჭულია, ა. ხომერიკი, ლ. თოიძე.

სპეციალურმა ჟიურიმ საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი მიაკუთვნა ა. ბოლქვაძეს, ბომბარდირის ჯილდო დაისაკუთრა ი. ქუტიძემ, რომელმაც მეტოქეთა კარში 14 ბურთი გაიტანა.

ნატანებელ ჭაბუკ ფეხბურთელთა წარმატება შემთხვევითი არ არის. აგროფირმა „ნატანების“ ხელმძღვანელობამ (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი გივი წითლიძე) ყურადღებასა და ზრუნვას არ აკლებს ნორჩებს, კარგ პირობებს უქმნის მოზარდთაობას ჯანმრთელობის გაკაჟებისა და სპორტული წარმატების მოსაპოვებლად. ნატანებში არსებულ შესანიშნავ სპორტკომპლექსს მალე შეემატება თანამედროვე ტიპის სტადიონი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იქნება რესპუბლიკის სოფლის სპორტულ ბაზებს შორის.

ნატანების „ნარინჯის“ ჭაბუკმა ფეხბურთელებმა ეს გამარჯვება მშობლიური საქართველოს ეროვნულ აღორძინებას მიუძღვნეს.

პრდევან ნიკოლაიშვილი,
პროფკავშირების ნფსს რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

სურათზე: ტურნირში გამარჯვებული „ნარინჯის“ გუნდი.

I ლიგა

31 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 29-ე ტურის მატჩები.

ქუთაისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო“ და ბათუმის „დინამო“. დიდმა სიცხემ დაღი დაამჩნია თამაშის მსვლელობას, იგი მიმდინარეობდა ნელ ტემპში, გაუმწვავებლად. როგორც ჩვენი ქუთაისელი კორესპონდენტი თამაზ ხარაბაძე გვატყობინებს, პათუმელთა ერთ-ერთმა ყველაზე სახიფათო ფეხბურთელმა ქვანიამ მე-5 წუთზე ისარგებლა ტორპედოელთა მცველების შეცდომით და გახსნა ანგარიში, საპასუხო ბურთის გატანა კი ტორპედოელებმა მხოლოდ 50-ე წუთზე შეძლეს, როცა შავდათუაშვილმა კარგად გამოიყენა დვალიშვილის ბადაცემა — 1:1. სხვა შემთხვევებში მასპინძლებმა თავიანთი ტერიტორიული უპირატესობის გამოყენებას ვერ მიაღწიეს და ფრეს დასჯერდნენ.

მეტოქეთა შემადგენლობანი: „ტორპედო“ — ჩხეიძე, პაპავა, თორღაშვილი, დვალიშვილი, თევზაძე, ნადირაძე, პაიკიძე (დ. მახარაძე), გაბისკირია, მეგრელაძე, მარეხაშვილი (შავგულიძე), შავდათუაშვილი; „**დინამო**“ — ბალაძე, გოგიტიძე, ქასრაშვილი, დურდიაძე, კიკლიაშვილი, ჯოხაძე (უგრეხელიძე), მჭედლიშვილი, კაკილაშვილი, მეშკოვი (ათუაშვილი), ქვანია, მაისურაძე (ი. მახარაძე), მსაჯი ა. რუშიანცევი (ლენინგრადი). გაფრთხილეს მჭედლიშვილი.

ლენინგრადში „გურია“ ამ დღეს მოსკოვში შეხვდა ლიგის ლიდერს ცსკა-ს. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს არმიელებმა.

* * *

სხვა შეხვედრათა შედეგები: „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „უუბანი“ (კრასნოდარი) 0:0, მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:0, ასკ (დონის როსტოვი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 1:1, „კუზბასი“ (კემეროვო) — „დინამო“ (სტავროპოლი) 0:0, „დაუგავა“ (რიგა) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 1:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 3:1, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 2:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 0:3.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 სექტემბრისათვის	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ	ქ.
ცსკა	28	20	5	3	78-19	45
„კაირატი“	28	17	6	5	53-22	40
„გურია“	27	16	6	5	46-24	38
„ფახთაქორი“	28	13	7	8	40-19	33
„ნეფთჩი“	28	12	9	7	35-26	33
„ფაკელი“	27	12	7	8	30-21	31
„დინამო“ სტ.	27	10	11	6	33-27	31
„ნისტრუ“	28	14	2	12	32-42	30
„გეოლოგი“	28	12	5	11	31-30	29
„მეტალურგი“	27	11	6	10	37-27	28
„ტორპედო“	26	11	4	11	38-37	26
„ტავრია“	27	9	8	10	36-38	26
„კოტაიკი“	27	8	10	9	29-23	26
„როსტსელმ.“	27	8	10	9	27-28	26
„სპარტაკი“	28	9	7	12	33-37	25
„დინამო“ ბ.	28	9	7	12	27-43	25
„შინიკი“	28	7	9	12	29-48	23
„უუბანი“	28	8	6	14	27-52	22
„კუზბასი“	28	6	10	12	16-30	22
ასკ რ.	27	6	6	15	33-51	18
„დაუგავა“	28	5	5	18	17-49	15
ასკ „კარპატი“	28	4	6	18	27-61	14

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ	ქ.
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	28	14	8	1	42-14	36
„უალგირისი“ (ვილნიუსი)	28	12	5	6	31-22	29
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	28	12	5	6	30-22	29
„დინამო“ (კიევი)	28	9	10	4	27-17	28
„მეტალისტი“ (ხარკოვი)	28	9	8	6	24-20	26
„ტორპედო“ (მოსკოვი)	28	8	10	5	24-17	26
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	28	8	8	7	26-27	24
„დინამო“ (მინსკი)	28	9	5	9	27-24	23
„დინამო“ (მოსკოვი)	28	7	9	7	26-21	23
„პამირი“ (დუშანბე)	28	6	8	9	17-27	20
„არარატი“ (ერევანი)	28	7	5	11	21-31	19
„როტორი“ (ვოლგოგრადი)	28	6	7	9	18-28	19
„შახტიორი“ (დონეცკი)	28	7	4	12	16-28	18
„დინამო“ (თბილისი)	28	4	10	8	17-22	18
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	28	4	6	13	12-26	14
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	28	3	8	12	15-37	14

„იმედის“ თასზე

ქ. ნაბერეჟნიე ჩელნიში (რსფსრ) გაიმართა „იმედის თასის“ საკავშირო გათამაშების ნახევარფინალის ერთ-ერთი ეტაპი ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის, სადაც რსფსრ-ის, „შრომითი რეზერვების“, ყაზახეთის, ბელორუსიისა და საქართველოს ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. ფინალის საგზურები მოიპოვეს რსფსრ-ისა და „შრომითი რეზერვების“ გუნდებმა. ჩვენი რესპუბლიკის „წარგზავნილები მესამე ადგილზე გავიდნენ.

სამარანჩი დარჩა პრეზიდენტად

სან-ხუანი. 30 აგვისტოს 17 საათზე ამოიწურა განაცხადების მიღების ვადა, როგორც გაირკვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტზე პრეტენზიას არავინ აცხადებდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სოკ-ის ახლანდელ მეთაურს ხუან ანტონიო სამარანჩს კიდევ ოთხი წლით გაუგრძელეს უფლებამოსილება.

ზუსტად ასე გახდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცეპრეზიდენტი ჩინელი ჟ. ხე და აღმასკომის წევრი — ამერიკელი რ. ჰელმიკი.

სოკ-ის 95-ე სესიაზე სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიც მიიღეს. ოქროს ოლიმპიური ორდენი გადაეცათ ამ ორგანიზაციის საპატიო წევრებს არგენტინელ რ. პეპერს და იაპონელ მ. კიოკავას.

წინობილი გახდა ისიც, რომ უახლოეს დღეებში სოკ-ის სამდივნოში ცვლილებები მოხდება. კერძოდ, გადადგება რ. გაფნერი, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა შტაბ-ბინის აპარატის მუშაობას. მიმდინარე წლის ოქტომბრიდან შემოღებული იქნება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გენერალური დირექტორის თანამდებობა. ამ პოსტს დაიკავებს ლოზანელი ადვოკატი ფ. კარარი, რომელიც დიდხანს სოკ-ის იურიდიული ნაწილის კონსულტანტად ითვლებოდა. თვით რ. გაფნერი გაუძღვება ოლიმპიური კომიტეტის ყველა საინფორმაციო გამოცემას.

სესიის მონაწილეებმა მოისმინეს საერთაშორისო ოლიმპიური აკადემიის ანგარიში. ამ აკადემიის პრეზიდენტმა ნ. ფილარეტოსმა კერძოდ აღნიშნა, რომ დღეისათვის სხვადასხვა ქვეყანაში 47 ეროვნული აკადემია ფუნქციონირებს, მათ შორის 7 აზიაში, 3 აფრიკაში, 12 ამერიკაში, 29 ევროპაში და ერთიც — ოკეანიაში.

გაიმართა სოკ-ის სამედიცინო კომისიის პრეზიდენტის პრინც ა. მეროდის პრეს-კონფერენცია. ჟურნალისტებთან პრინცის შეხვედრა განაპირობა სოკ-ის ერთ-ერთი წევრის, წარსულში ცნობილი ამერიკელი სპორტსმენი ქალის ა. დეფრანცის განცხადებამ. იგი მოითხოვდა რომ დოპინგის მიღებაში ერთხელ მხილებული სპორტსმენისთვის სამუდამო დისკვალიფიკაცია მოესჯათ. მაგრამ ამ კატეგორიულ მოთხოვნას მხარი არ დაუჭირეს.

აქვე, პრეს-კონფერენციაზე აღინიშნა დასავლეთგერმანელი მედიკოსის, პროფესორ მ. დონიკეს ახალი მეთოდიკის შესახებ. რომელიც ნახევარი წლის წინ მიღებული ანაბოლური სტეროიდის ორგანიზმში აღმოჩენის საშუალებას იძლევა.

გაიმართა ნახევარფინალური ეტაპის მესამე ტურის შეხვედრები. მოსკოვის „ფილი“ ორი გამოტოვებული მატჩის შემდეგ, როგორც იქნა, ჩაება შეჯიბრებაში და ქუთაისის „აიას“ უმასპინძლა. გაიმარჯვეს ქართველმა მორაგბეებმა — 9:0, 6 შესაძლებლიდან 6 ქულა მოაგროვეს და ჩემპიონობის მოსაპოვებლად გამართულ შეჯიბრში საგრძნობლად განიმტკიცეს პოზიცია.

თბილისის „ელმავალმა“ „ლოკომოტივის“ სტადიონზე კრასნოიარსკის ეტს მიიღო. თამაში სტუმრებმა მოიგეს, თანაც ერთობ უცნარი ანგარიშით — 35:28 (21:16). ციმბირელებმა საჯარიმო, 6 ელო და 4 გარდასახვა გაიტანეს, თბილისელთა მიერ გატანილი ხუთიველელო კი მორკინალებზე მოდის (ბაკურაძემ ორჯერ ისახელა თავი, კაკაბაძემ, ხუადემ, და გ. გიუნაშვილმა — თითოჯერ). ჩავლეიშვილმა 4 ელო გარდასახა.

თუ „ბ“ ქვეჯგუფში, სადაც ქართული გუნდები ასპარეზობენ, ყველაფერი ცხადია, „ა“ ქვეჯგუფში დღითიდღე იძაბება სიტუაცია. აქ ბოლო ორი ტურის მატჩები ასე დამთავრდა: სსა (მონინო) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 3:0, „სლავა“ (მოსკოვი) — „ავიატორი“ (კიევი) 6:6, „სლავა“ — სსა 16:9, „ავიატორი“ — „ლოკომოტივი“— 18:12 „ლოკომოტივის“ მორიგი ორი მარცხის შემდეგ ერთი პირობა უმედოდ ჩამორჩენილი „სლავა“ და „ავიატორი“ მას შესამჩნევად წამოეწივნენ. ამიტომ დარჩენილ სამ ტურში პირველი ოთხეულის ბოლო ვაკანტური ადგილისათვის სამ პრეტენდენტს შორის უშეღავათო ბრძოლაა მოსალოდნელი. თუკი რომელიმე მდევარი „ლოკომოტივს“ გადაუსწრებს და ოთხეულში მოხვდება, მას „ოქროს“ ქულათა სოლიდური მარაგიც ექნება და საფიქრებელია, რომ სწორედ ის, ყოფილი აუტსაიდერი, შეეცილება ქუთაისელებს ჩემპიონობას. აი, ასე მოულოდნელ და გასაოცარ ფინალს გვპირდება „ბრძნულად“ მოფიქრებული ჩემპიონატის ფორმულა.

რაც შეეხება ქუთაისელთა ძველ მეტოქეს — მონინოს გუნდს, მას ჯერაც ქულათა საუკეთესო მაჩვენებელი აქვს, მაგრამ „აიას“ უკვე 3 „ოქროს“ ქულით ჩამორჩება და, თუ ასე გააგრძელა, ოთხეულში მოხვედრის შემდეგ შეიძლება შარშანდელის დარად კვლავაც უმედლოდ დარჩეს.

 სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში

„აიას“ მტკიცე ნაბიჯები

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 2 სექტემბრისათვის
(ფრჩხილებში მოგვაქვს „ოქროს“ ქულათა რაოდენობა)

„ა“ ქვეჯგუფი

სსა	25	18	3	4	39	(8)
„ლოკომ.“	25	14	1	10	29	(1)
„სლავა“	25	11	4	10	26	(4)
„ავიატორი“	25	11	3	11	25	(4)

„ბ“ ქვეჯგუფი

„აია“	25	17	3	5	37	(6)
ეტს	24	18	0	6	36	(2)
„ელმავ.“	24	10	3	10	22	(0)
„ფილი“	23	9	3	11	21	(0)

მეოთხე ტურში, 3 სექტემბერს, ითამაშებენ: „ავიატორი“ — სსა, „სლავა“ — „ლოკომოტივი“, „ფილი“ — ეტს, „ელმავალი“ — „აია“. იმედია, საქართველოს გუნდების შეხვედრის შემდეგ ნაკრების ხელმძღვანელები გამოაცხადებენ იმ შემადგენლობას, რომელსაც 12 სექტემბერს ზიმბაბვეს ნაკრების წინააღმდეგ გამოიყვანენ.

ცელსიუსი-ფარენჰეიტი



ბერლინი. გდრ-ის დედაქალაქის „დინამოს“ სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე თავი გამოიჩინა მსოფლიოს რეკორდსმენმა და სეულის ოლიმპიადის ჩემპიონმა ბირთვის კვრაში ულფ ტიმერმანმა (გდრ), რომელმაც 22 მეტრსა და 19 სანტიმეტრზე გაგზავნა ბირთვი, რაც წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგია. ანალოგიური მაჩვენებლით დაამთავრა ქალთა შეჯიბრება ჰაიკე ჰარტვიგმა (გდრ) — 20 მ. 78 სმ. ძლიერი პირქარი ხელს უშლიდა მორბენლებს და მაინც მსოფლიო ჩემპიონმა ზილკე მიულერმა 100 მეტრიან მანძილზე 11,24 აჩვენა.

პალმ-ბიჩი (აშშ, ფლორიდას შტატი). გუშინ აქ დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში. საბჭოთა ნაკრების ღირსებას იცავენ: ნატალია რუმიანცევა (დუბნა), ოლგა გუბარენკო (მოსკოვი), მარინა ამელიანჩიკი და დიმიტრი იასკევიჩი (ორივე — მინსკი). ჩემპიონატის მოთავარ ფავორიტებად სლალომსა და ტრამპლინიდან ხტომაში აშშ-ს, ავსტრალიისა და კანადის სპორტსმენები ითვლებიან.

სპორტული სექტემბერი

3-12. საგზატკეცილო ველოსრბოლა. საბჭოთა კავშირის პირველობა მრავალდღიან ჯგუფურ რბოლაში 1971-72 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. **ვანი.**

5-9. მშვილდოსნობა. საქართველოს ჩემპიონატი. **თბილისი.**

9-11. ქართული ჭიდაობა. საქართველოს გუნდური პირველობა. I ზონა. **ხაშური.**

9-16. საგზატკეცილო ველოსრბოლა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მრავალდღიან რბოლაში ქალთა შორის. **თბილისი.**

12-16. წყალბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. III ტური. **თბილისი.**

16-20. ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი ვაჟთა გუნდებს შორის. III წრე. **ბათუმი.**

19-20. სათხილამურო ორჭიდი. საკავშირო შეჯიბრება ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე. **ბაკურიანი.**

19-20. ძალოსნობა. საქართველოს ჩემპიონატი სიმძიმეების აწევაში. **ამბროლაური.**

21-23. ძიუდო. საქართველოს პირველობა 1975-76 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. **ვანი.**

21-24. საგზატკეცილო ველოსრბოლა. საბჭოთა კავშირის პირველობა ჯგუფურ რბოლაში 1972-73 წლებში დაბადებულ გოგონებს შორის. **თბილისი.**

22-24. თავისუფალი ჭიდაობა. ვ. რუბაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო შეჯიბრება. **გორი.**

22-26. კალათბურთი. საქართველოს პირველობა 1974-75 წლებში დაბადებულ ჭაბუკებსა და გოგოებს შორის. **ბათუმი.**

23-24. სათხილამურო რბოლა. საკავშირო შეჯიბრება უფროსი ასაკის და 1969-70 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. **ბაკურიანი.**

23-25. ქართული ჭიდაობა. საქართველოს გუნდური პირველობა. II ზონა. **ონი.**

23-27. ფარიკაობა. საქართველოს თასიხ ღია გათამაშება. **თბილისი.**

26-28. ტრეკზე ველოსრბოლა. საერთაშორისო შეჯიბრება საქართველო-პოლონეთი. **თბილისი.**

27.IX-2.X. ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის. II ტური. **ტყიბული.**

27.IX-2.X. შაში. რესპუბლიკური შეჯიბრება „დიდი შაშის“ პრიზზე. **რუსთავი.**

28.IX-1.X. საგზატკეცილო ველოსრბოლა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი და საკავშირო შეჯიბრება ქალთა შორის. **თბილისი.**

29.IX-1.X. მაგიდის ჩოგბურთი. საქართველოს პირველობა. III ტური. **თბილისი.**

30.IX-1.X. წყალთხილამურები. საქართველოს ღია ჩემპიონატი. **ფოთი.**

ლელობურთი. საქართველოს ჩემპიონატი (მიმოსვლით). კალენდრის მიხედვით.

...სიცილიაში...

იტალიის ქალაქ კატანიაში (სიცილია) გამართულ მოჭადრაკე ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც იუგოსლავიის, იტალიისა და სსრ კავშირის დიდოსტატები (ორი) და საერთაშორისო ოსტატები იბრძოდნენ, წინ ვერავინ აღუდგა თბილისელ საერთაშორისო ოსტატ იგორ ეფიმოვს, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 7 ქულა დააგროვა (ასპარეზობა შვეიცარიული სისტემით ჩატარდა) და გაიმარჯვა.

საქართველოს თასზე

7 სექტემბერს თბილისის „შევარდენის“ სტადიონზე გაიმართება საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდებიან ზუგდიდის „დინამო“ და წყალტუბოს „შადრევანი“. თამაში 17 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

საჩუქარიც ამას ჰქვია

ტოკაისა (იაპონია) და მოსკოვის უნივერსიტეტების გუნდების შეხვედრით გუშინ მოსკოვში დაიწყო ჩვენს ქვეყანაში პირველი საერთაშორისო ტურნირი კეტბურთში. ამ გუნდების გარდა, ტურნირში მონაწილეობენ ტიანჯზინის (ჩინეთი) ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ფაიამის (აშშ) უნივერსიტეტის გუნდები.

შეხვედრები ჩატარდება მოსკოვის უნივერსიტეტის სპორტკომპლექსის ახალ, საგანგებოდ კეტბურთისთვის განკუთვნილ სტადიონზე. ეს სარბიელი მოსკოველ სტუდენტებს „აიუქა“ ტოკაის უნივერსიტეტის რექტორ-პრეზიდენტმა სიგეკი მაცუმაემ. მის მიერ გაღებული 350 მილიონი იენი, სულ რაღაც, ექვს თვეში აითვისეს იუგოსლავიის ფირმის „ვრანიცას“ მშენებლებმა. სპეციალისტები თვლიან, რომ ეს სტადიონი ერთ-ერთი საუკეთესო საკეტბურთო სარბიელია ევროპაში. მისი ტრიბუნები ათასამდე მაყურებელს იტევს, მოედნის ხელოვნური საფარი დამზადებულია დასავლეთგერმანული ფირმის „პოლიგრასის“ მიერ. სამომავლოდ აქ გათვალისწინებულია სარეაბილიტაციო ცენტრისა და ტრენაჟორებით აღჭურვილი დარბაზის აგება.

კატეგორიული გაფრთხილების მიუხედავად

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით აფრიკის ქვეყნები კატეგორიულ უარზე არიან, რომ ინგლისმა და ავსტრალიამ მიიღონ მონაწილეობა თანამეგობრობის თამაშებში. (პროტესტის მიზეზია ამ ქვეყნების სპორტსმენთა მრავალწლიანი კონტაქტები რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან). წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ალტერნატივული შეჯიბრებით იმუქრებიან.

იმავე კორესპონდენტის განცხადებით აფრიკის ქვეყნების წარმომადგენელთა კატეგორიულ განცხადებას არც ინგლისზე და არც ავსტრალიაზე გავლენა არ მოუხდენია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამას წინათ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას 16 ბრიტანელი კრიკეტისტი ეწვია, რაგბისტთა ტურნირში კი ავსტრალიელი სპორტსმენები აპირებენ გამოსვლას.

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

როგორც ვიუწყებოდით, შვეიცარიის ქალაქ შარტინში ჩატარდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური გამარჯვება, ტრადიციულად, საბჭოთა ათლეტებმა მოიპოვეს. მეორე ადგილზე გავიდნენ უნგრეთის, მესამეზე ბულგარეთის წარმომადგენლები.

ჩემპიონატის მედლები ქვეყნებს შორის ასე განაწილდა:

	I	II	III
სსრ კავშირი	5	2	2
გფრ	2	—	1
უნგრეთი	1	1	1
ბულგარეთი	1	1	1
გდრ	1	—	—
სამხრეთ კორეა	—	1	2
თურქეთი	—	1	—
საფრანგეთი	—	1	—
რუმინეთი	—	1	—
აშშ	—	1	—
ნორვეგია	—	1	—
შვეიცია	—	—	2
კუბა	—	—	1

გთავაზობთ 37-ე მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორთა სიას:

48 კგ. 1. ო. კუჩერენკო (სსრკ), 2. ლ. რიონინგენი (ნორვეგია), 3. კ. დოკ იონგი (სამხრეთ კორეა).

52 კგ. 1. ა. იგნატენკო (სსრკ), 2. რ. ოსტურკი (თურქეთი), 3. ა. ნამ ზონგი (სამხრეთ კორეა).

57 კგ. 1. ე. ივანოვი (ბულგარეთი), 2. ა. შესტაკოვი (სსრკ), 3. ა. შაიკი (უნგრეთი).

62 კგ. 1. კ. მაჯიდოვი (სსრკ), 2. ხო ბიონგ ხუ (სამხრეთ კორეა), 3. მ. ოლივერა (კუბა).

68 კგ. 1. კ. პასარელი (გფრ), 2. ე. ჯეგი (საფრანგეთი), 3. ლ. ჯულფალაკიანი (სსრკ).

74 კგ. 1. დ. ტურლიხანოვი (სსრკ), 2. ა. აგირე (რუმინეთი), 3. პ. ტენევი (ბულგარეთი).

82 კგ. 1. ტ. კომარომი (უნგრეთი), 2. მ. მამიაშვილი (სსრკ), 3. მ. ფრედრიკსონი (შვეიცია).

90 კგ. 1. მ. ბულმანი (გდრ), 2. მ. ფოი (აშშ), 3. რ. გრიზი (გფრ).

100 კგ. 1. გ. ჰიმელი (გფრ), 2. ი. ვასილევი (ბულგარეთი), 3. ა. ფედორენკო (სსრკ).

130 კგ. 1. ა. კარელინი (სსრკ), 2. ლ. კლაუსი (უნგრეთი), 3. ტ. იუჰანსონი (შვეცია).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

15 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე თბილისის სპორტის სასახლეში პირველად ჩატარდება მხეცების თეატრის გასტროლები, სპექტაკლი — დივერტისმენტი:

„თეატრი ხვდება მეგობრებს“

არენაზე იხილავთ გაწვრთნილ ვეფხვებს, დათვებს, პითონებს, მგელს, მაიმუნებს, ენოტს, კატებს, თუთიყუშებს, გოჭებს, ძაღლებს.

თეატრის მხატვრული ხელმძღვანელია სსრკ სახალხო არტისტი **ნ. დუროვა.**

დასაწყისი 14 და 17 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში და ცენტრალურ თეატრალურ სალაროებში.

მიიღება კოლექტიური განაცხადები ბილეთების როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით შესაძენად.

ინდექსი 58485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ჩიტაიშვილის ქ. 29. უე 00351